ოლიმპიადაზე დასარეგისტრირებლად ეწვიეთ: https://kings.ge/register

კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა 2020 / I ტური
მე-9 კლასი

I სავარჯიშო: კუმშვად და უკუმშველ სახელთა ბრუნება,რიცხვითი სახელის რაობა.
შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ

1.როგორ სახელებს ჰქვია უკუმშველი?
ა) როდესაც ფუძეში ჩნდება ახალი ხმოვანი;
ბ) სახელებს, რომელთაც ფუძეში ხმოვანი არ ეკარგებათ;
გ) როდესაც ხდება ფუძისეული ხმოვნის დისიმილაცია;

2. ჩამოთვლილთაგან კუმშვისას რომელი სახელის ფუძიდან ამოვარდება ე ხმოვანი?
ა) მგელი; ბ) ძმარი; გ) გოდორი;

3.შემოხაზეთ მართებული ფორმა?
ა) ჭერამის; ბ) ჭერამით; გ) ჭერმის;

4.რომელია თანხმოვანფუძიანი სახელი?
ა) ხბო ; ბ) ტყე; გ) თაფლი;

5.რომელ წინადადებაში არ არის დაშვებული შეცდომა?
ა) ბატკანის ბღავილმა გამაღვიძა.
ბ) პატარა გოგომ ჩაფით წყალი მოარბენინა.
გ) თებრომ ჭიდან წყალის მოტანა გადაწყვიტა.

6.რას აღნიშნავს რაოდენობითი რიცხვითი სახელი?
ა) მხოლოდ საგნის ნაწილს;
ბ) მხოლოდ საგნის რიგს;
გ) საგნის რაოდენობას;

7.რომელია რიგობითი რიცხვითი სახელი?
ა) მეხუთე; ბ) ათი; გ) მეშვიდედი;

8.როგორ იწარმოება წილობითი რიცხვითი სახელი?
ა) რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძეზე ე სუფიქსის დართვით;
ბ) რიგობითი რიცხვითი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმით;
გ) რიგობით რიცხვითი სახელზე ე სუფიქსის დართვით;

9.რომელია სწორი ფორმა?
ა) ორმოცდა-ორი; ბ) ორმოცდა ორი; გ) ორმოცდაორი;

10. რომელია სწორი ფორმა?
ა) მე- V ; ბ) XII ; გ) მე-XX-ე;

II სავარჯიშო: კომპოზიტების ანუ რთული სიტყვების მართლწერა
შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ

11. შემოხაზეთ მართებული ფორმა?
ა) კაშ-კაშა ; ბ) კაშკაშა; გ) კაშ-კა-შა;

12. რომელია ფუძეგაორკეცებული კომპოზიტი?
ა) ცისკარი; ბ) ქუჩა-ქუჩა; გ) მთა-ბარი;

13. ჩამოთვლილთაგან რომელია მცდარი ფორმა?
ა) დედა-შვილობა ; ბ) და-ძმა; გ) დედ-მამა;

14. ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი ფორმა?
ა) თავ-ჩაღუნული ; ბ) თავქუდმოგლეჯილი ; გ) კისერ წაგრძელებული;

15. ჩამოთვლილთაგან რომელია მცდარი ფორმა?

ა) ხევხევ ; ბ) ხევ-ხევ ; გ) უბან-უბან;

III სავარჯიშო: გრამატიკული დროის რაობა.
შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ

16. რამდენი დროა ქართულ ენაში?
ა) ორი; ბ) ერთი ; გ) სამი;

17. რომელი დროის ფორმაა მიირთმევს?
ა) ახლანდელი ბ) წარსული გ) არცერთი პასუხი არ არის სწორი

18. რომელი დროის ფორმაა ხაზგასმული სიტყვა?
„ნიკო ფიროსმანი პორტრეტებს ხატავდა.“
ა) ახლანდელი ; ბ) წარსული; გ) მომავალი;

19. რომელი დროის ფორმაა ხაზგასმული სიტყვა მოცემულ წინადადებაში?
„ ნიკუშა დავალებას დაწერს.“
ა) ახლანდელი ; ბ) მომავალი ; გ) წარსული;

20. რომელი დროის ფორმაა სიტყვა ნახავს?
ა) ახლანდელი ; ბ) წარსული ; გ) მომავალი ;